“ლიტერატურული ძიებანი” (“Literary Researches”), ტ. XXIII, 2002.

ძველი ქართული ლიტერატურა
ანოტაციები:

ზურაბ კიკნაძე

მსხემობიდან მკვიდრობისკენ

სტატიაში განხილულია ძველი აღთქმის სუბიექტის – რჩეული ხალხის ისრაელის ისტორიის ოთხი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული ხანა:

1. პატრიარქების ხანა ქანაანში;
2. ეგვიპტის ხანა;
3. უდაბნოს ხანა და
4. ისრაელიანთა ქანაანში დამკვიდრების ხანა.

გოჩა კუჭუხიძე

სახარება და იოვანე ოქროპირის „განმარტებანი“ სულიწმიდის შესახებ

აღმოსავლეთში მიიჩნევენ, რომ სულიწმიდა მხოლოდ მამისაგან გამოდის, დასავლეთის თანახმად, სულიწმიდა, ასევე, ძისგანაც გამოდის, - მიაჩნიათ, რომ ეს ჩანს სახარების იმ ადგილიდან, რომელშიც უფალმა სულიწმიდა შთაბერა მოციქულებს (იოვ. 20,22). ძის მიერ სულიწმიდის ***შთაბერვა*** და მამისაგან მისი ***გადმოსვლა*** ორი სხვადასხვა მოვლენაა; იოვანე ოქროპირის თანახმად, ძისაგან სულიწმიდის მობერვა ამაღლებულ ადამიანს სხვათა პატიების უნარს აძლევს, მეტი ამაღლების შემდეგ კი ადამიანზე მამისაგან ცეცხლის ენების სახით გადმოდის სულიწმიდა, რაც სხვათა განკურნების, მკვდართა აღდგინების უნარს ანიჭებს. ამ დროს ნუგეშინისმცემელი სული ადამიანს რეალურად შეაგრძნობინებს, რომ მამის უკვდავი შვილია. მამისაგან სულიწმიდის გადმოსვლისას ძისაგან ადამიანზე სულიწმიდის მობერვაც ხდება.

სიტყვა “გამოსვლა” ძალიან ზოგადი ტერმინია. რათა გაუგებრობა აღარ მოხდეს, საჭიროა დაზუსტეს, როდის რა იგულისხმება ამ სიტყვაში, უნდა გაირკვეს, როდის არის მამისაგან სულიწმიდის ***გადმოსვლის*** შესახებ ლაპარაკი და როდის ვსაუბრობთ ძისაგან სულიწმიდის ***მობერვაზე.***

სიტყვა “გამოსვლა” შეიძლება პირობითად ორივე შემთხვევაში ვიხმაროთ, მაგრამ აუცილებლად ზუსტად უნდა გაირკვეს, ორი მნიშვნელობიდან რომელი შეესაბამება გარკვეულ შემთხვევას და რომელი მნიშვნელობის წარმოჩენაა საჭირო.

ასმათ ჯიქია

IV-V საუკუნეთა ქართლის მონაზვნური ცხოვრების შესწავლისათვის

“წმიდა ნინოს ცხოვრებაზე” დაკვირვებამ ცხადყო, რომ IV საუკუნის ქართლში დასტურდება მონაზვნური ცხოვრების არსებობა. შემდგომი საუკუნის “წმიდა შუშანიკის წამებაში” კი ჩანს არა მარტო სახე მონაზონთა, არამედ მონაზვნური ცხოვრების შესახებ თეორიული ცოდნა. ლიტერატურულ ნაწარმოებებზე დაყრდნობით გამოთქმულ მოსაზრებას განამტკიცებს “ქართლის ცხოვრებაში” მოიებული მტკიცებულებანი, აღნიშნულ ეპოქათა საზოგადოებაზე სოციოლოგიური დაკვირვება.

მალხაზ კობიაშვილი

ანდრია პირველწოდებულის მისიონერული მოღვაწეობისათვის საქართველოში

მეცნიერებაში გავრცელებული თვალსაზრისით, ცნობა ანდრია მოციქულის საქართველოში მოღვაწეობია შესახებ ბიზანტიურ მწერლობაში VIII-IX საუკუნებიდან ჩნდება და ქართულ წყაროებშიც აქედანაა შემოსული X-XI საუკუნეებში. ვფიქრობთ, აქ ნათქვამს უფრო მეტი დაზუსტება სჭირდება, რამდენადაც საკითხის კვლევას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ხოლო ღღეისათვის, მისი საბოლოო შესწავლა და გაანალიზება უტუოდ მოითხოვს თანამედროვე მეცნიერულ მონაპოვართა გათვალისწინებასაც.
სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიკვეთა ორი მიმართულება წმ. ანდრიას მისიონერული მოღვაწეობის შესახებ საქართველოში:
1.მეცნიერთა ნაწილი ამტკიცებს, რომ ქმ. ანდრიას წვლილი ქარტველთა მოქცევის საქმეში რეალურ საფუველს მოკლებულია;
2.მეორე ნაწილი კი დოკუმენტურად ადასტურებს ანდრიას მისიონერული მოღვაწეობის ფაქტს. როგორც ვხედავთ, საკითხი საბოლოოდ არ არის გადაჭრილი, თუმცა მიგვაჩნია, რომ წმ. ანდრიას მისიონერული მოღვაწეობა საქარტველოში რეალურ ფაქტს უნდა წარმოადგენდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, ახვა დანარჩენ მოციქულთა მისიონერულ მოღვაწეობაშიც უნდა შევიტანოთ ეჭვი.

ლეილა დათიაშვილი

ზოგიერთი რამ ეფრემ ასურის „ასკეტიკონის“ ეფრემ მცირისეულ თარგმანთან დაკავშირებით

ნაშრომი ეხება ეფრემ ასურის (IVს.) “ასკეტიკონის” ეფრემ მცირისეულ თარგმანს. ამ უკანასკნელმა თარგმნა აღნიშნული უზარმაზარი კორპუსი ბერძნულიდან ქართულად. მასში გაერთიანებულია 47 თხზულება.
გაანალიზებულია ეფრემ მცირის ორი ანდერძი და ბევრი საინტერესო ლექსიკური ერთეული როგორც ბერძნული, ისე ქართული წარმომავლობისა. შეინიშნება, რომ რამდენიმე სიტყვა ეფრემ მცირის მიერ არის შემოტანილი ქართულ ენაში, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა სათანადო გავრცელება ვერ პოვა.

სოსო მახარაშვილი

თეოფილე ხუცესმონაზვნის ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის

ნაშრომში განხილულია თეოფილე ხუცესმონაზვნის პოლიტიკური, ეგზეგეტიკური, ასკეტურ-მისტიკური და დოგმატილურ-პოლემიკური ხასიათის თარგმანები, ორიგინალური პოეტური თხზულებები; აღნიშნულია მისი განსაკუთრებული ღვაწლი მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის ჟანრში.

რევაზ ბარამიძე

ეროვნული ცნობიერების გამოვლენის ზოგიერთი ასპექტი თეიმურაზ I-თან

თეიმურაზ პირველმა მრავალი ნაწარმოები თარგმნა სპარსულიდან, ასევე სპარსულ პოეზიის არა ერთი სიუჟეტი გადაამუშავა და გაღმოაქართულა. მანვე წარმოსთქვა: “სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანიო” და ყოველივე ამის გამო არჩილ მეფედან მოყოლებული თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეებით დამთავრებული თეიმურაზს “სპარსოფილ” პოეტს უწოდებენ, რაც უმართებულია, რადგანაც იგი არის ღრმად ეროვნული მსოფლგაგების შემოქმედი, რომლის ყოველი სტრიქონი დამუხტულია დიდი ეროვნული ტკივილითა და განცდით – მის ლირიკულ ლექსქბიდან დაწყებული, ფართოეპიურ ტილოთი “წამება ქათევამ დედოფლისა” დამთავრებული, ყველა ღრმა ეროვნული განცდით დაწერილილი ქმნილებებია, რომელშიც დიდი რეალისტუეი ჭვრეტითაა წარმოჩენილი ქვეყნის ავბედობა და ჩვენი ქვეყნის მომხიბლავი პასაუები; ხოლო ისეთი ლირიკული შედევრები, როგორიცაა “თამარის სახე დავით გარეჯს” და “გრემის სასახლე”

მშობლიურიწარსულის, კულტურისა გაცნობიერებისადმი მიძღვნილი ამაღლებული ჰიმნი. ის ფაქტი, რომ თეიმურაზი გატაცებული იყო სპარსული პოეზიით და ცდილობდა თანამემამულენი ეზიარებინა სპარსულ კულტურასთან ნათელი დადასტურებაა ქართველი კაცის სულიერი ამაღლებისა და იშვიათი დიდბუნოვანებისა, რომელმაც შესძლო ქართველთა ამაოხრებელ ყიზილბაშთა მოქნეულ ხმალს იქეთ შეეგრძნო და განეცადა ფირდოუსისა დანიზამის სტრიქონების სურნელება და სიდიადე. ასე რომ აქ სპარსოგილობა კი არ არის, არამედ აზროვნების, ფართო მასშტაბის ჰუმანიზმის აშკარა დადასტურებაა, რაც კიდევ უფრო ხაზს უსვამს ჩვენი პოეტის აზროვნების გაქანებასა და კაცთმოყვარეობას, რაც დაფუძნებული იყო ეროვნულ ტრადიციების სიძლიერეზე.

ბელა ბალხამიშვილი

„თჳს ანგელოსთა“

ანტონ კათოლიკოსის “წყობილსიტყვაობაში” ანგელოზთა დასების იერარქიულობის შესახებ საუბარი ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრების ერთგვარი გამოძახილია. ანგელოზთა დასების იერარქიისათვის დამახასიათებელი ჰარმონიის, ზეციური სამყაროს მოდელის ხაზგასმული ჩვენებით ანტონი სიმბოლურად მიანიშნებს ამქვეყნიური, მიწიური იერარქიის არსებობაზე და იგავური მინიშნებებით ამჟღავნებს სურვილს – ზეციური საღვთო წესრიგის მსგავსად შეიცვალოს ამქვეყნიური დისჰარმონია. სოციალურ-პოლიტიკური რეალობით პირობადებული ისტორიული კონტექსტის დაკავშირება ზეციური ძალების იერარქიასთან წარმართულია ეროვნული ცნობიერების ნიშნით.

იმოლდა წაქაძე

რამდენიმე შტრიხი პეტრე ლარაძის ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან

ნაშრომი ეხება XVIII ს-ის მეორე ნახევრისა და XIX ს-ის პირველი ნახევრის ართ-აერთი თვალსაჩინო და ნაყოფიერი შემოქმედის პეტრე ლარაძის ბიოგრაფიასა და მის შემოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, მიკვლეულია და დაზუსტებულია რამდენიმე ახალი ბიოგრაფიული დეტალი. აგრეთვე განხილულია პეტრე ლარაძის თხზულებები: “დილარიონი” და “სახე მგოსანი” და გაკეთებულია დასკვნები.